ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

ინტელექტი

# მიგრანტი

ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“.

№23 / 2017

ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ ფარგლებში. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

ჩანართის რედაქტორი: სალომე აგულაძე

მისამართი: ბათუმი, ფიროსმანის № 18
ტელ.: 24 16 40; ფაქსი: 24 16 50

მობ: 592 57 18 00
ელფოსტა: info@intellect.ge
ვებგვერდი: intellect.ge

# ლექციები თურქეთში შრომითი მიგრანტების უფლებების დაცვის მექანიზმებზე

**ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“, პროექტის ფარგლებში - „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“, აჭარის ხუთივე მუნიციპალიტეტის (ხულო, შუახევი, ქედა, ხელვაჩაური და ქობულეთი) 63 თემში საჯარო ლექციებს ატარებს „თურქეთის რესპუბლიკაში შრომითი მიგრანტების უფლებების დაცვის მექანიზმებზე“. ლექციები ხულოს, შუახევისა და ქედის მუნიციპალიტეტებში უკვე დასრულდა.**

საჯარო ლექციებს „ინტელექტის“ იურისტი გიორგი სურმანიძე უძღვება.

„საჯარო ლექციების მთავარი თემა თურქეთში შემოსავლის მისაღებად გადასული ჩვენი თანამოქალაქეებისთვის შრომითი უფლებების გაცნობა, საჭიროების შემთხვევაში კი, იურიდიული კონსულტაციის გაწევა და, შესაბამისი დახმარების აღმოჩენაა.

მოსახლეობის უმეტესობა არ იცნობს საკუთარი უფლებების დაცვის მექანიზმებს, რასაც დამსაქმებელი თავის სასარგებლოდ იყენებს. კერძოდ, ჩვენი მოქალაქეებისგან ითხოვს შესვენების გარეშე, 8 საათის ნაცვლად 14-საათიან მუშაობას, საცხოვრებლად კი ისეთ შენობას სთავაზობს, სადაც საწოლიც არ დგას. მუქარა, დამამცირებელი მოპყრობაც ჩვეულებრივი მოვლენაა.

საჯარო ლექციებს თითოეული შრომითი მიგრანტისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს – ისინი ეცნობიან, თუ როგორ დაიცვან უცხოეთში საკუთარი უფლებები. ასევე, შეხვედრების დროს ვავრცელებთ ჩვენი ორგანიზაციის მიერ გამარტივებული ფორმით, ქართულ-თურქულ ენაზე შედგენილ ხელშეკრულების ფორმას.

როდესაც დამსაქმებელი დასაქმებულს არასათანადოდ ექცევა, დასაქმებულს შეუძლია მოითხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურება. თურქეთის რესპუბლიკაში ასეთი მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვა ეფექტურია.

მოსახლეობა შეხვედრებით ძალიან კმაყოფილია. ბევრს ადრე დაკარგული თანხის დაბრუნების იმედი გაუჩნდა. განუწყვეტლივ მირეკავენ და მთხოვენ კონსულტაციას. ჩვენ მზად ვართ დავეხმაროთ ნებისმიერ ბენეფიციარს, დაწყებული კონსულტაციით, დამთავრებული სასამართლოში წარმომადგენლობით.

მოხარული ვიქნები, თუ არალეგალური მუშაობა ლეგალურით შეიცვლება. მაგრამ თუ ასე არ მოხდა, მაშინ თურქეთში წასულ მიგრანტებს მინდა ვუთხრა, რომ ჯგუფური გადასვლის შემთხვევაში ჯგუფის ხელმძღვანელთან გააფორმონ ხელშეკრულება საქართველოშივე, ინდივიდუალურად გასვლის შემთხვევაში კი, თურქ დამსაქმებელთან. ნებისმიერი შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება არავინ უნდა დაკარგოს!

ირღვევა თქვენი უფლებები? მიმართეთ სასამართლოს. სასამართლო თქვენი არალეგალური შრომის შესახებ პოლიციას არ შეატყობინებს. ის მოქმედებს საჩივრის შესაბამისად. გახსოვდეთ, თურქული კანონმდებლობით, დამსაქმებელი ისჯება ათმაგად, შესაბამისად, ის არ მიმართავს ადგილობრივ პოლიციას ან ჟანდარმერიას“ – ამბობს გიორგი სურმანიძე.

საჯარო ლექციების მიზანია ხელი შეუწყოს ეკოლოგიური და შრომითი მიგრანტების ინფორმირებულობის დონის ამაღლებას; საზღვარგარეთ არალეგალური დასაქმების დროს არსებულ საფრთხეებზე, შრომითი ტრეფიკინგის თავიდან აცილების საშუალებებზე, საკუთარი უფლებების დაცვის სამართლებრივ მექანიზმებზე, მეზობელ სახელმწიფოებში ლეგალური დასაქმების შესაძლებლობაზე ინფორმაციის მიწოდება.

საჯარო ლექციების პარალელურად მიმდინარეობს აქცია „მზე ყველასთვის თანაბრად ანათებს“. აქციის მიზანია მიგრანტი ბენეფიციარების დარწმუნება, რომ მათი უფლებების დაცვა სხვა ქვეყანაშიც შესაძლებელია. მიგრანტებთან ერთად აქციაში აქტიურად მონაწილეობენ გამგებლების წარმომადგენლები თემებში, მაჟორიტარი დეპუტატები და „ინტელექტის“ განმანათლებლები.